# Gen Z თაობა საქართველოში: სამოქალაქო აქტივიზმის აღქმა და მასზე მოქმედი ფაქტორები

სატელეფონო გამოკითხვის კითხვარი

(ივლისი, 2025)

D1. [ინტერვიუერს!] **მიესალმეთ პოტენციურ რესპონდენტს ქართულად. მონიშნეთ, თუ რა ენაზე გიპასუხათ**

| | | |
|---|---|---|
| ქართულად | 1 | |
| სხვა ენაზე | 2 | დასრულება |

D2. [ინტერვიუერს! წაუკითხეთ შემდეგი ტექსტი და ჩაინიშნეთ, თანახმაა თუ არა რესპონდენტი ინტერვიუზე.]

**გამარჯობა, გირეკავთ საქართველოს უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრიდან. ვატარებთ მოკლე სატელეფონო გამოკითხვას საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის თემაზე 18-დან 28 წლის ჩათვლით ახალგაზრდებში. გთხოვთ, დამითმოთ რამდენიმე წუთი. თქვენი მონაწილეობა კვლევაში ძალიან მნიშვნელოვანია! გამოკითხვა დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდება, თქვენი ყველა პასუხი კი კონფიდენციალური იქნება. გსურთ თუ არა კვლევაში მონაწილეობის მიღება?**

| | | |
|---|---|---|
| დიახ | 1 | |
| არა | 0 | დასრულება |

**D3. გთხოვთ, მითხრათ თქვენი ასაკი. რამდენი წლის ბრძანდებით?** [თუ რესპონდენტი 18 წელზე ნაკლებისაა და 28 წელზე მეტის, დაასრულეთ ინტერვიუ]

|___|___|

**D4. საქართველოს რომელ რეგიონში ცხოვრობთ ბოლო 6 თვის განმავლობაში?**

| | |
|---|---|
| აჭარა | 1 |
| გურია | 2 |
| სამეგრელო/ზემო სვანეთი | 3 |

| | | |
|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 4 | |
| იმერეთი | 5 | |
| მცხეთა-მთიანეთი | 6 | |
| შიდა ქართლი | 7 | |
| ქვემო ქართლი | 8 | |
| სამცხე-ჯავახეთი | 9 | |
| კახეთი | 10 | |
| თბილისი | 11 | D6 |
| სხვა (მიუთითეთ) | 12 | დასასრული |

**D5. ქალაქში ცხოვრობთ, დაბაში თუ სოფელში?**

| | |
|---|---|
| ქალაქში | 1 |
| დაბაში | 2 |
| სოფელში | 3 |

**D6. რესპონდენტის სქესი** *[ინტერვიუერს! კითხვა არ დაუსვათ! ჩაინიშნეთ რესპონდენტის სქესი მისი სახელის და ხმის მიხედვით. თუ არ ხართ დარწმუნებული, მაშინ კითხეთ დაზუსტების მიზნით.]*

| | |
|---|---|
| კაცი | 1 |
| ქალი | 2 |

**D7. საქართველოში მრავალი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს. თქვენ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებთ თავს?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. მხოლოდ ერთი პასუხი.]

| | |
|---|---|
| ქართველი | 1 |
| აზერბაიჯანელი | 2 |
| სომეხი | 3 |
| სხვა | 4 |
| *(არ ვიცი)* | -1 |
| *(უარი პასუხზე)* | -2 |

**D8. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?** [ინტერვიუერს! თუკი რესპონდენტი ბაკალავრიატის სტუდენტია, მონიშნეთ „არასრული უმაღლესი განათლება“]

| | |
|---|---|
| დაწყებითი განათლების გარეშე. | 1 |
| დაწყებითი განათლება (დასრულებული ან დაუსრულებელი). | 2 |
| არასრული საშუალო განათლება. | 3 |

| | |
|---|---|
| სრული საშუალო განათლება. | 4 |
| საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება. | 5 |
| არასრული უმაღლესი განათლება. | 6 |
| უმაღლესი განათლება (ბაკალავრის, მაგისტრის, სპეციალისტის დიპლომი). | 7 |
| სამეცნიერო ხარისხი. | 8 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

1. **გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?**

| | |
|---|---|
| მოსაზრება 1: **ცხოვრებაში ყველაფერი ბედისწერას ემორჩილება** | 1 |
| მოსაზრება 2: **ადამიანები თავად განაგებენ საკუთარ ბედს** | 2 |
| [არ წაუკითხოთ!] არცერთს არ ვეთანხმები | -5 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

2. **ზოგადად, რამდენად გაინტერესებთ ან არ გაინტერესებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები? თქვენ ის** … [წაიკითხეთ]

| | |
|---|---|
| ძალიან გაინტერესებთ | 4 |
| უფრო გაინტერესებთ, ვიდრე - არა | 3 |
| უფრო არ გაინტერსებთ, ვიდრე - კი | 2 |
| თუ საერთოდ არ გაინტერესებთ? | 1 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

3. **თქვენი აზრით, რა არის ამჟამად სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| ჯანდაცვა არ არის ხელმისაწვდომი | 1 |

| | |
|---|---|
| კორუფცია | 2 |
| სასამართლოები არ არის სამართლიანი | 3 |
| არჩევნები არ არის სამართლიანი | 4 |
| ადამიანის უფლებების დარღვევები | 5 |
| უმუშევრობა | 6 |
| ნატო-ში (არ)გაწევრიანება (ნატოს წევრი ქვეყანა რომ არ ვართ) | 7 |
| ევროკავშირში არ გაწევრიანება/გაწევრიანების გადადება | 8 |
| ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფის სირთულე | 9 |
| დაბალი პენსიები | 10 |
| პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში | 11 |
| სიღარიბე | 12 |
| საკუთრების უფლების დარღვევები | 13 |
| განათლების დაბალი ხარისხი | 14 |
| განათლება არ არის ხელმისაწვდომი | 15 |
| პრობლემური ურთიერთობები რუსეთთან | 16 |
| ფასების ზრდა / ინფლაცია | 17 |
| მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები | 18 |
| დაბალი ხელფასები | 19 |
| რელიგიური შეუწყნარებლობა | 20 |
| გენდერული უთანასწორობა | 21 |
| ემიგრაცია (ხალხის გამგზავრება საქართველოდან) | 22 |
| იმიგრაცია (უცხოელები რომ ჩამოდიან საქართველოში საცხოვრებლად, რუსების გარდა) | 23 |
| ეროვნული ტრადიციების დაკარგვის საფრთხე | 24 |
| რუსი იმიგრანტები | 25 |
| სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) | 999 |
| *(არანაირი პრობლემა არ არსებობს)* | *-5* |
| *(არ ვიცი)* | *-1* |

| | |
|---|---|
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

**4. თქვენი აზრით, რამდენად დემოკრატიულია საქართველო დღეს? საქართველო …**
[წაუკითხეთ:]

| | |
|---|---|
| სრულიად დემოკრატიულია, | 4 |
| დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით, | 3 |
| დემოკრატიულია, დიდი პრობლემებით, | 2 |
| თუ საერთოდ არ არის დემოკრატიული? | 1 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

**5. ჩამოთვლილთაგან, რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული? გთხოვთ აირჩიოთ არაუმეტეს სამი პასუხისა** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები.მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| ქვეყნის უსაფრთხოება | 1 |
| ადამიანის უფლებები | 2 |
| პირადი უსაფრთხოება | 3 |
| ეკონომიკური კეთილდღეობა | 4 |
| რელიგიური მრწამსი | 5 |
| ქვეყნის დეოკუპაცია | 6 |
| კანონის უზენაესობა | 7 |
| თანასწორობა | 8 |
| გარემოს დაცვა | 9 |
| სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება | 10 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| *[არ წაუკითხოთ!] (ყველაფერი)* | *-5* |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

6. **თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი ხუთი თვისებაა მნიშვნელოვანი, რომლებსაც ბავშვებს სახლში უნდა ასწავლიდნენ?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ, მიიღეთ არაუმეტეს ხუთი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: ჩამონათვალის როტაცია]

| | |
|---|---|
| დამოუკიდებლობა | 1 |
| წარმოსახვა/ფანტაზია | 2 |
| მორჩილება | 3 |
| პასუხისმგებლობის გრძნობა | 4 |
| ტოლერანტობა და სხვების პატივისცემა | 5 |
| ფულისა და ნივთების დაზოგვა | 6 |
| მიზანდასახულობა/შეუპოვრობა | 7 |
| რელიგიური რწმენა | 8 |
| უანგარობა | 9 |
| შრომისმოყვარეობა | 10 |
| თვითგამოხატვა | 11 |
| კარგი მანერები | 12 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

7. **როდესაც თქვეთვის ახლობელ ადამიანებს ხვდებით - მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს - რამდენად ხშირად განიხილავთ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ]

| | |
|---|---|
| ყოველთვის | 5 |
| ხშირად | 4 |
| ზოგჯერ | 3 |
| იშიათად | 2 |
| არასდროს | 1 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

8. **გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ მოსაზრებები. მხოლოდ ერთი პასუხი თითო მოსაზრებისთვის] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | | საერთოდ არ ვეთანხმები | უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები | უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები | სრულად ვეთანხმები | (არ ვიცი) | (უარი პასუხზე) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები კარგად მესმის | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 2. | რომ მინდოდეს, საკუთარ თავს პოლიტიკაში ჩასართავად კვალიფიციურად მივიჩნევ | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 3. | ჩემნაირი ადამიანების აზრი საერთოდ არაა გათვალისწინებული მთავრობის საქმიანობაში | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 4. | მნიშვნელობა არ აქვს ხმას ვის მივცემ, ეს არაფერს შეცვლის | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 5. | შემიძლია ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანამოაზრეების ორგანიზება, მათ შორის ონლაინ სივრცეში | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 6. | შემიძლია სხვებთან ერთად მუშაობა საზოგადოების პრობლემების გადასაჭრელად | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |

9. პირადად თქვენ ხართ თუ არა ...

| | | დიახ | არა | (არ ვიცი) | (უარი პასუხზე) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალგაზრდული მოძრაობის წევრი | 1 | 0 | -1 | -2 |
| 2 | პოლიტიკური პარტიის წევრი | 1 | 0 | -1 | -2 |
| 3 | სამოქალაქო აქტივისტი (მაგ. რეგიონის/ქალაქის/სოფლის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა) | 1 | 0 | -1 | -2 |
| 4 | სკოლაში/უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდული, პოლიტიკური კლუბის წევრი | 1 | 0 | -1 | -2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | თქვენს ქალაქში მრჩეველთა საბჭოს/ახალგაზრდული საბჭოს წევრი | 1 | 0 | -1 | -2 |

10. **ბოლო 12 თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი?** [წაუკითხეთ თითოეული მათგანი]

| | | დიახ, ერთხელ | დიახ, რამდენჯერმე | არა | არა, არ ვიყავი 18 წლის | *(არ ვიცი)* | *(უარი პასუხზე)* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მონაწილეობა მიიღეთ დემონსტრაციაში/ საპროტესტო აქციაში | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 2. | ხელი მოაწერეთ პეტიციას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 3. | გამოუცხადეთ ბოიკოტი რომელიმე კომპანიას ან პროდუქციას | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 4. | გაიფიცეთ | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 5. | გააკეთეთ დონაცია - გაეცით თანხა ქველმოქმედების მიზნით | | 2 | | | | |
| 6. | მიწერეთ ან ელაპარაკეთ ხელისუფლების წარმომადგენელს | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 7 | მონაწილეობა მიიღეთ არასამთავრობო ორგანიზაციის ნებისმიერ ღონისძიებაში | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 8 | მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში | 1 | | 0 | -5 | -1 | -2 |
| 9 | დაესწარით საჯარო შეხვედრას | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 10 | იყავით მოხალისე/უსასყიდლოდ, ანაზღაურების გარეშე შეასრულეთ სხვებისთვის სასარგებლო საქმიანობა | 1 | 2 | 0 | | -1 | -2 |
| 11 | ჩართული იყავით/ხართ საინიციატივო ჯგუფებში/მოძრაობებში | 1 | | 0 | | -1 | -2 |

11. თუ რესპონდენტმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. **რა იყო ძირითადი მიზეზები/მოტივაცია, რის გამოც თქვენ მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| ეს ჩემი, როგორც მოქალაქის მოვალეობაა | 1 |
| ცვლილებების მოსატანად/სიტუაციის გასაუმჯობესებლად | 2 |
| სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოსახატავად | 3 |
| კონკრეტული საკითხი/თემა არის/იყო ღირებული ჩემთვის | 4 |
| ჩემი ოჯახის წევრები/მეგობრები იყვნენ ჩართული | 5 |
| უსამართლობასთან ბრძოლა | 6 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

12. [თუ რესპონდენტის მონაწილეობა არ მიუღია არჩევნებში] **რა იყო ძირითადი მიზეზები, რის გამოც თქვენ არ მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| არ მქონდა საკმარისი დრო | 1 |
| არ მქონდა საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა | 2 |
| უშედეგოა/აზრი არ აქვს ამ აქტივობას/მაინც არაფერი შეიცვლება | 3 |
| საარჩევნო უბანი ჩემი ქალაქიდან/სოფლიდან შორსაა | 4 |
| არ მქონდა უსაფრთხოების შეგრძნება | 5 |
| არ მაქვს ინფორმაცია ამ აქტივობების შესახებ | 6 |
| ჩემს გარშემო არავინაა ჩართული | 7 |
| არ ვენდობი პოლიტიკოსებს/პოლიტიკურ პარტიებს | 8 |
| არ ვენდობი საარჩევნო სისტემას/არ ვენდობი ამ აქტივობებში ჩართულ ადამიანებს/ორგანიზატორებს (გარდა პოლიტიკოსებისა) | 9 |
| არ ვიცოდი, ვისთვის მიმეცა ხმა | 10 |
| არ ვიცი, როგორ მივიღო მონაწილეობა | 11 |
| არ მიმიღია შეთავაზება, რომ მონაწილეობა მიმეღო ასეთ აქტივობაში | 12 |
| არ მაინტერესებს მონაწილეობა | 13 |
| არ ვიმყოფებოდი საქართველოში | 14 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| (არ ვიცი) | -1 |

| | |
|---|---|
| (უარი პასუხზე) | -2 |

13. [თუ რესპონდენტი ყოფილა ჩართული მე-10 კითხვაში დასახელებულ რომელიმე აქტივობაში, გარდა არჩევნებისა] **თქვენ თქვით, რომ მონაწილეობა მიიღეთ შემდეგ აქტივობებში: …** [პროგრამირების ინსტრუქცია: აქტივობების გამოთვლა, რომელშიც იღებენ მონაწილეობას]**. რა იყო ძირითადი მიზეზები/მოტივაცია, რის გამოც თქვენ ჩაერთეთ .ამ აქტივობა/ებში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| ეს ჩემი, როგორც მოქალაქის მოვალეობაა | 1 |
| ცვლილებების მოტანა/სიტუაციის გაუმჯობესება | 2 |
| სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატვა | 3 |
| კონკრეტული საკითხი/თემა არის/იყო ღირებული ჩემთვის | 4 |
| ჩემი ოჯახის წევრები/მეგობრები იყვნენ ჩართული | 5 |
| უსამართლობასთან ბრძოლა | 6 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

14. [თუ რესპონდენტი არ ყოფილა ჩართული მე-10 კითხვაში დასახელებულ რომელიმე აქტივობაში, გარდა არჩევნებისა] **თქვენ თქვით, რომ მონაწილეობა არ მიგიღიათ შემდეგ აქტივობებში: …** [პროგრამირების ინსტრუქცია: აქტივობების გამოთვლა, რომელშიც არ იღებენ მონაწილეობას]**. რა იყო ძირითადი მიზეზები, რის გამოც თქვენ არ ყოფილხართ ჩართული ამ აქტივობა/ებში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| არ მაქვს საკმარისი დრო | 1 |
| არ მაქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა | 2 |
| უშედეგოა/აზრი არ აქვს ამ აქტივობას/მაინც არაფერი შეიცვლება | 3 |
| ჩემი ქალაქიდან/სოფლიდან შორსაა | 4 |
| არ მაქვს უსაფრთხოების შეგრძნება | 5 |
| არ მაქვს ინფორმაცია ამ აქტივობების შესახებ | 6 |
| ჩემს გარშემო არავინაა ჩართული | 7 |

| | |
|---|---|
| არ ვენდობი ამ აქტივობებში ჩართულ ადამიანებს/ორგანიზატორებს | 8 |
| არ ვიცი, როგორ მივიღო მონაწილეობა | 9 |
| არ მიმიღია შეთავაზება, რომ მონაწილეობა მიმეღო ასეთ აქტივობაში | 10 |
| არ მაინტერესებს | 11 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

15. **ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი სოციალური ქსელით სარგებლობისას?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ თითოეული მათგანი.]

| | დიახ, ერთხელ | დიახ, რამდენჯერმე | არა | *არ ვიყენებ სოციალურ ქსელებს* | *(არ ვიცი)* | *(უარი პასუხზე)* |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გააზიარეთ/დაპოსტეთ სოციალურ/პოლიტიკურ საკითხებზე სოციალურ ქსელში** | 1 | 2 | 0 | -5 | -1 | -2 |
| **დაწერეთ კომენტარი სოციალურ/პოლიტიკურ საკითხებზე.** | 1 | 2 | 0 | -5 | -1 | -2 |
| **მონაწილეობდით სოციალურ/პოლიტიკურ საკითხებზე ონლაინ დისკუსიებში ან ფორუმებში** | 1 | 2 | 0 | -5 | -1 | -2 |
| **გაუწიეთ ონლაინ ორგანიზება ან ხელი შეუწყვეთ სამოქალაქო/პოლიტიკურ ღონისძიებას/აქტივობას** | 1 | 2 | 0 | -5 | -1 | -2 |

16. [თუ რესპონდენტი ყოფილა ჩართული მე-15 კითხვაში დასახელებულ რომელიმე აქტივობაში] **თქვენ თქვით, რომ მონაწილეობა მიიღეთ შემდეგ აქტივობებში: …** [პროგრამირების ინსტრუქცია: აქტივობების გამოთვლა, რომელშიც იღებენ მონაწილეობას]. **რა იყო ძირითადი მიზეზები/მოტივაცია, რის გამოც თქვენ ჩაერთეთ .ამ აქტივობა/ებში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| ეს ჩემი, როგორც მოქალაქის მოვალეობაა | 1 |
| ცვლილებების მოსატანად/სიტუაციის გასაუმჯობესებლად | 2 |

| | |
|---|---|
| ინფორმაციის გასავრცელებლად | 3 |
| სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოსახატავად | 4 |
| კონკრეტული საკითხი/თემა არის/იყო ღირებული ჩემთვის | 5 |
| ჩემი ოჯახის წევრები/მეგობრები იყვნენ/არიან ჩართული მსგავს აქტივობებში | 6 |
| მნიშვნელოვანია ჩემი პოზიციის გამოხატვა | 7 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

17. [თუ რესპონდენტი არ ყოფილა ჩართული მე-15 კითხვაში დასახელებულ რომელიმე აქტივობაში] **თქვენ თქვით, რომ მონაწილეობა არ მიგიღიათ შემდეგ აქტივობებში: …** [პროგრამირების ინსტრუქცია: აქტივობების გამოთვლა, რომელშიც არ იღებენ მონაწილეობას]. **რა იყო ძირითადი მიზეზები, რის გამოც თქვენ არ ყოფილხართ ჩართული ამ აქტივობა/ებში?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ. მიიღეთ არაუმეტეს სამი პასუხისა] [პროგრამირების ინსტრუქცია: მოსაზრებების მონაცვლეობა.]

| | |
|---|---|
| არ მაქვს საკმარისი დრო | 1 |
| უშედეგოა/აზრი არ აქვს ამ აქტივობას/მაინც არაფერი შეიცვლება | 2 |
| არ მაქვს უსაფრთხოების შეგრძნება | 3 |
| ჩემს გარშემო არავინაა ჩართული | 4 |
| არ ვენდობი ამ აქტივობებში ჩართულ ადამიანებს/ორგანიზატორებს | 5 |
| არ ვიცი, როგორ მივიღო მონაწილეობა | 6 |
| არ მიმიღია შეთავაზება, რომ მონაწილეობა მიმეღო ასეთ აქტივობაში | 7 |
| არ მაინტერესებს | 8 |
| სხვა (მიუთითეთ) | 999 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |

18. **თქვენი აზრით, რამდენად აქვს ან არ აქვს გავლენა მოქალაქეების მიერ განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს ქართულ პოლიტიკაზე:** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ თანმიმდევრობით. ერთი პასუხი ყოველ მწკრივში.]

| | | დიდი გავლენა აქვს | უფრო აქვს გავლენა, ვიდრე არა | უარო არ აქვს გავლენა, ვიდრე აქვს | საერთოდ არ აქვს გავლენა | (არ ვიცი) | (უარი პასუხზე) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| 2 | ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| 3 | დემონსტრაციებში/აქციებში მონაწილეობის მიღებას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| 4 | პოლიტიკურ პარტიაში აქტიურობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| 5 | საინიციატივო ჯგუფებში/მოძრაობებში მონაწილეობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| 6 | არასამთავრობო ორგანიზაციებში აქტიურობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |

19. **ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას. გთხოვთ, მითხრათ თქვენ საერთოდ არ ენდობით, ძირითადად ენდობით, ძირითადად არ ენდობით, თუ სრულად ენდობით …** [პროგრამირების ინსტრუქცია: ინსტიტუტების თანმიმდევრობის როტაცია]

| | | საერთოდ არ ვენდობი | ძირითადად არ ვენდობი | ძირითადად ვენდობი | სრულად ვენდობი | *(არ ვიცი)* | *(უარი პასუხზე)* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასამართლო სისტემას | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 2 | არასამთავრობო ორგანიზაციებს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 3 | პარლამენტს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 4. | მთავრობას | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. | პრეზიდენტს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 6. | პოლიციას | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 7. | პოლიტიკურ პარტიებს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 8. | მასმედიას | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 9. | ადგილობრივ ხელისუფლებას | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 10. | თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 11. | სახალხო დამცველს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |
| 12. | ჯარს | 1 | 2 | 3 | 4 | -1 | -2 |

**20.** გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით

| | |
|---|---|
| მოსაზრება 1: ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე. | 1 |
| მოსაზრება 2: მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. | 2 |
| *[არ წაუკითხოთ!] არცერთს არ ვეთანხმები* | -5 |
| *(არ ვიცი)* | -1 |
| *(უარი პასუხზე)* | -2 |

**21.** გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?

| | |
|---|---|
| მოსაზრება 1: ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა. | 1 |
| მოსაზრება 2: ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში. | 2 |
| *[არ წაუკითხოთ!] არცერთს არ ვეთანხმები* | -5 |
| *(არ ვიცი)* | -1 |
| *(უარი პასუხზე)* | -2 |

22. გთხოვთ მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?

| | |
|---|---|
| მოსაზრება 1: პოლიტიკა ბინძური საქმეა და მე არ მინდა ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობა. | 1 |
| მოსაზრება 2: ყველა ქართველის მოქალაქეობრივი ვალია პოლიტიკაში ჩართვა იმისთვის, რომ უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ. | 2 |
| *[არ წაიკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები* | *-5* |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

23. გთხოვთ მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ან უმნიშვნელოა კარგი მოქალაქისთვის … [ინტერვიუერის საყურადღებოდ. წაუკითხეთ]

| | ძალიან მნიშვნელოვანია | უფრო მნიშვნელოვანი ა ვიდრე უმნიშვნელო | უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე მნიშვნელოვანი | ძალიან უმნიშვნელოა | (არ ვიცი) | (უარი პასუხზე) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| ყოველთვის მხარი დაუჭიროს მთავრობას | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| დაიცვას ტრადიციები | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| გააკეთოს საზოგადოებისთვის საჭირო საქმე როგორც მოხალისემ, ანუ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |
| იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ | 4 | 3 | 2 | 1 | -1 | -2 |

*ახლა კი რამდენიმე კითხვას დაგისვამთ თქვენ შესახებ.*

24. ჩვეულებრივ, რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე? იგულისხმება ინფორმაციის მიღება როგორც ტელევიზიით, ასევე - ინტერნეტით, სოციალურ ქსელებში, ან - იუთუბზე. [ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ! მიიღეთ ყველა შესაძლო პასუხი]

| | |
|---|---|
| იმედი | 1 |
| მთავარი არხი | 2 |
| ფორმულა | 3 |
| კავკასია | 4 |
| რუსთავი 2 | 5 |
| პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი) | 6 |
| მაესტრო | 7 |
| აჭარა TV | 8 |
| ობიექტივი | 9 |
| პალიტრა TV | 10 |
| TV პირველი | 11 |
| პოს TV | 12 |
| ონლაინ გამოცემა: პუბლიკა | 13 |
| ონლაინ გამოცემა: რადიო თავისუფლება | 14 |
| ონლაინ გამოცემა: ტაბულა | 15 |
| ონლაინ გამოცემა: ნეტგაზეთი | 16 |
| ონლაინ გამოცემა: სივილ ჯორჯია | 17 |
| ონლაინ გამოცემა: ბათუმელები | 18 |
| ონლაინ გადაცემა: მისმინე | 19 |
| სახელმწიფო ინსტიტუტების ოფიციალური საიტები | 20 |
| სხვა (ჩაინიშნეთ)___________________________ | 999 |
| არ ვიღებ ინფორმაციას | -5 |
| *(არ ვიცი)* | -1 |
| *(უარი პასუხზე)* | -2 |

**25. ამჟამად ხართ თუ არა სტუდენტი?**

| | |
|---|---|
| დიახ | 1 |
| არა | 0 |
| სტატუსი მაქვს შეჩერებული | -5 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

**26. ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს საქმიანობას? გთხოვთ, შეარჩიეთ**

**ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის <u>ძირითადია</u>.** [<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი, რომელიც შეესაბამება რესპონდენტის ძირითად საქმიანობას.]

| | | |
|---|---|---|
| არ ვმუშაობ და არ ვეძებ სამსახურს | 1 | გადადით 28-ე კითხვაზე |
| არ ვმუშაობ და ვეძებ სამსახურს | 2 | |
| ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (სეზონური სამუშაოს ჩათვლით) | 3 | |
| ვარ თვითდასაქმებული (სეზონური სამუშაოს ჩათვლით) | 4 | გადადით 28-ე კითხვაზე |
| ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია | 5 | |
| სხვა (მიუთითეთ)___________ | 999 | |
| (არ ვიცი) | -1 | |
| (უარი პასუხზე) | -2 | |

**27. მხოლოდ თქვენი <u>ძირითადი</u> სამსახურის შესახებ თუ ვისაუბრებთ, რა უფრო შეესაბამება თქვენი სამსახურის ტიპს? თქვენ დასაქმებული ხართ …**[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! წაუკითხეთ]

| | |
|---|---|
| საჯარო სექტორში | 1 |
| კერძო სექტორში | 2 |
| არასამთავრობო ორგანიზაციაში (საერთაშორისო ორგანიზაციის ჩათვლით) | 3 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

**28. <u>გასულ თვეში</u> თქვენს პირად ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემოსავლის ყველა წყარო, რაც გასულ თვეში გქონდათ.** [<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! საუბარია რესპონდენტის მიერ <u>ხელზე აღებულ</u> თანხაზე.]

| | |
|---|---|
| 2200 ლარზე მეტი | 1 |
| 1801 ლარიდან - 2200 ლარის ჩათვლით | 2 |
| 1401 ლარიდან 1800 ლარის ჩათვლით | 3 |

| | |
|---|---|
| 1001 ლარიდან 1400 ლარის ჩათვლით | 4 |
| 601 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით | 5 |
| 600 ლარამდე | 6 |
| (0) | 7 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

**29. ჩამოთვლილთაგან, რა უფრო კარგად აღწერს თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას?**

| | |
|---|---|
| ფული არ გვყოფნის საკვებზე. | 1 |
| ფული გვყოფნის მხოლოდ საკვებზე, მაგრამ არ გვყოფნის ტანსაცმელზე. | 2 |
| ფული გვყოფნის საკვებზეც და ტანსაცმელზეც, მაგრამ არ გვაქვს საშუალება, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა. | 3 |
| საშუალება გვაქვს, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა. | 4 |
| საშუალება გვაქვს, შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება. | 5 |
| *(არ ვიცი)* | *-1* |
| *(უარი პასუხზე)* | *-2* |

**30. რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს?** [ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

| | |
|---|---|
| სომხურ სამოციქულო ეკლესიას. | 1 |
| კათოლიკურ ეკლესიას. | 2 |
| მართლმადიდებელ ეკლესიას. | 3 |
| პროტესტანტულ ეკლესიას (მაგ. ევანგელისტირური და სხვა). | 4 |
| სხვა ქრისტიანულ აღმსარებლობას ან სექტას (იეჰოვას მოწმეები, მორმონები, და ა.შ.) | 5 |
| სუნიტურ ისლამს. | 6 |
| შიიტურ ისლამს. | 7 |

| | | |
|---|---|---|
| ისლამის სხვა მიმართულებას. | 8 | |
| იუდაიზმს. | 9 | |
| სხვას. | 999 | |
| არცერთს. | -5 | დასასრული |
| (არ ვიცი) | -1 | |
| (უარი პასუხზე) | -2 | |

**31. განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?** [წაუკითხეთ]

| | |
|---|---|
| ყოველდღე | 1 |
| უფრო ხშირად, ვიდრე კვირაში ერთხელ | 2 |
| კვირაში ერთხელ | 3 |
| თვეში ერთხელ მაინც | 4 |
| მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე | 5 |
| უფრო იშვიათად | 6 |
| არასდროს | 7 |
| (არ ვიცი) | -1 |
| (უარი პასუხზე) | -2 |